სადოქტორო პროგრამის დასახელება: არაბული ფილოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის დოქტორი
Ph. D. In Philology

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი **აპოლონ სილაგაძე**

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) <u>პროგრამის მიზანი</u>:
პროგრამის აქტუალურობა და სავარაუდო საკვლევი პრობლემები.

სადოქტორო პროგრამა არაბულ ფილოლოგიაში არის ინტერდისციპლინარული – მოიცავს ორიენტალისტიკის დარგის – არაბული ფილოლოგიის ფარგლებში შემავალი სპეციალობების პრობლემატიკას.
სადოქტორო პროგრამის კვლევისა და სამეცნიერო ინტერესთა სფერო საკმაოდ ვრცელია და მოიცავს აღმოსავლური (კერძოდ, არაბული) ფილოლოგიიის მრავალ ასპექტს. კერძოდ, ლინგვისტურ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ) და ლექსიკოლოგიურ (სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ), შუა საუკუნეების და თანამედროვე აღმოსავლური პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიის და თეორიის, პოეტიკის, ვერსიფიკაციის საკითხებს, ყურანისა და ისლამოლოგიის, აგრეთვე ტექსტოლოგიის პრობლემატიკას.
ეს მიმართულებები ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო სკოლის კვლევის ტრადიციული მიმართულებებია და მსოფლიო ორიენტალისტიკური ცენტრებისთვისაც საკმაოდ აქტუალური. წინამდებარე სადოქტორო პროგრამა მოიცავს ორიენტალისტიკის (არაბისტიკის) სხვადასხვა სფეროს პროგრამებს, კერძოდ, ესენია: არაბული და სემიტური ენები, არაბული ლიტერატურის ისტორია და თეორია, შუა საუკუნეების და თანამედროვე აღმოსავლური პოეზია და პროზა, პოეტიკა, ვერსიფიკაცია სხვ.
პროგრამა შეინარჩუნებს და გააძლიერებს ქართული ორიენტალისტიკური სამეცნიერო სკოლის ტრადიციებს და მოამზადებს დოქტორებს როგორც საკუთრივ ორიენტალისტიკური, ისე ქართველოლოგიური კვლევებისთვის.
საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობას ყოველთვის ჰქონდა ეს ნიშანი – მისი საკვლევი პრობლემატიკა უშუალო და მჭიდრო კავშირში იყო ქართველოლოგიურ პრობლემატიკასთან.
დოქტორანტთა მომზადების მიზანია დარგში ინტელექტუალური კადრების ზრდა, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, თსუ ორიენტალისტიკური სკოლის სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, მიმდინარე პროგრამით მომზადებულ დოქტორანტთა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში.

ბ) <u>პროგრამის შედეგი:</u>
დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენციები, უნარ-ჩვევები.

პროგრამა უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევითი მუშაობის უნარის გამომუშავებას. დოქტორს აღმოსავლურ (არაბულ) ფილოლოგიაში უნდა შეეძლოს: მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოქმედებითი განვითარება, აღმოსავლეთმცოდნეობის

ძირითად საკვლევ პრობლემატიკაში კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიური საფუძვლების ათვისება-გაგება, სხვა დარგების წარმომადგენლებთან კოოპერაციით ცალკეულ საკითხთა და პრობლემათა ინტერდისციპლინური კვლევა; ცოდნის პრაქტიკული გამოყენება როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო-კვლევით პროცესებში.

<u>გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები</u>.

დოქტორის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს შესაბამის სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში (კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში) სპეციალობის მიხედვით. როგორც ორიენტალისტიკის დარგის ექსპერტი, პროფილის მიხედვით იგი შეიძლება დასაქმდეს შესაბამის სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, არქივებში, მუზეუმებში, საგამომცემლო ორგანიზაციებში და ა.შ. მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს აღმოსავლური ფილოლოგიის პრობლემატიკის საკმაოდ ფართო სპექტრს.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

- მაგისტრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (აღმოსავლეთმცოდნეობაში).
- ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) კარგი ცოდნა (B 2).

სასწავლო კომპონენტი.

<u>პროგრამის ზოგადი სტრუქტურა</u> მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

პროგრამის სასწავლო კომპონენტი (მთლიანობაში 60 კრედიტი) გულისხმობს: ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას, დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას, ტრანსფერირებადი უნარების განვითარებას, კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების ათვისებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლასა და დოქტორანტის ჩართვას სასწავლო პროცესში (პროფესორის ხელმძღვანელობით ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას).
სადოქტორო პროგრამის სასწავლო ნაწილი დოქტორანტს ერთი მხრივ, კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს შესძენს, მეორე მხრივ კი – მას საშუალებას აძლევს, საკუთარი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით, აირჩიოს პროგრამით შემოთავაზებული მიმართულებებიდან ერთი, როგორც კონკრეტული კვლევითი პროექტის განხორციელების სფერო.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები:

სწავლების თანამედროვე მეთოდები	5 კრედიტი
დოქტორანტის **I** კოლოკვიუმი	5 კრედიტი
დოქტორანტის **II** კოლოკვიუმი	5 კრედიტი

პროფესორის ასისტენტობა	5 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	5 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები	
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	5-30 კრედიტი
პრაქტიკა	5-10 კრედიტი
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი/კურსები	5-60 კრედიტი
კვლევის მეთოდები	5 კრედიტი
აკადემიური წერა	5 კრედიტი
ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	10 კრედიტი
სპეციფიკური დარგობრივი კურსები	5-15 კრედიტი
სხვა სახის აქტივობა	5-10 კრედიტი

ძირითადი კვლევითი მიმართულებები:

სპეციფიკური დარგობლივი კურსებისგან შემდგარი ორი 10 კრედიტიანი სავალდებულო და 5 კრედიტიანი არჩევითი საგანი მოიცავს დოქტორანტთათვის საკვლევ პროექტებად შესათავაზებელ ძირითად სამეცნიერო არეალს. შესაბამისად, გარდა ამ 20 კრედიტის მოცულობის სპეციალობის სავალდებულო საგნებისა, შეთავაზებული 5 კრედიტიანი არჩევითი საგნის ნაცვლად /ან მის პარალელურად ენაში მომუშავე დოქტორანტი სურვილისამებრ და საკუთარი **ინდივიდუალური გეგმის** მიხედვით იღებს **არჩევით საგანს** 5 ან 10 კრედიტის მოცულობით ზოგადი ენათმეცნიერების პროფილის სადოქტორო პროგრამიდან, ხოლო ლიტერატურაში დასპეციალების მსურველი დოქტორანტი ასევე სურვილისა და კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე, თავისი **ინდივიდუალური გეგმის** მიხედვით იღებს **არჩევით საგანს** 5 ან 10 კრედიტის მოცულობით ზოგადი ლიტმცოდნეობის პროფილის სადოქტორო პროგრამიდან. შესაბამისად, დოქტორანტთა სწავლებაში ჩართული იქნებიან პროფესორები სხვა სადოქტორო პროგრამებიდან.

ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინარული კვლევის განვითარებას და გაზრდის კონკრეტული კვლევითი პროექტების ეფექტურობას. დოქტორანტთა კვლევის შედეგებს ექნება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა:

ისინი დაინერგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევისა და სწავლების პროცესში.

დოქტურანტურაში სწავლების პროცესის შემადგენელი კომპონენტებია:

<u>დოქტორანტის კოლოკვიუმი (როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის ნაწილი):</u>

დოქტორანტი მოვალეა, წელიწადში ორჯერ წარსდგეს კოლოკვიუმზე მოხსენებით. ამ დროს ხდება მის მიერ ჩატარებული კონკრეტული კვლევის შედეგების პრეზენტაცია. კოლოკვიუმი წარმოადგენს სამეცნიერო დისკუსიას დოქტორანტის კვლევის სფეროში ახალი სამეცნიერო მიღწევების, პრობლემების შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურის შეფასება-განხილვას.

<u>დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა:</u>

დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას ადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტთან შეთანხმებით, ის წარმოადგენს კონკრეტული სამეცნიერო პროექტის მიზნებისა და ამოცანების აღწერას, სასწავლო და კვლევითი კომპონენტის დროში გაწერილ სავარაუდო გრაფიკს.

დოქტორანტის კვლევითი კომპონენტი მოიცავს კონკრეტული სამეცნიერო პროექტის თემატიკის შესაბამისი სამეცნიერო მოხსენებებით სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და სამეცნიერო სტატიების პერიოდულ პუბლიკაციას, რომლებიც ფაქტობრივად კვლევის დასაბუთებულ შედეგებს უნდა იძლეოდეს; ასევე დისერტაციის დაცვას ანუ თემის საჯარო პრეზენტაციას.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არაბისტიკის დეპარტამენტს დოქტორანტების მოსამზადებლად აქვს სათანადო ტექნიკურ-მატერიალური ბაზა. დოქტორანტს შეუძლია ისარგებლოს: ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის აღმოსავლური ფონდით, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკით (თსუ I კორპ.), ყოფილი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ბიბლიოთეკით (თსუ V კორპუსი), თსუ ინტერნეტული მომსახურების ცენტრით, ცალკეულ შემთხვევაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შესაბამისი დეპარტამენტების კაბინეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

საჭიროების შემთხვევაში სადოქტორო თემების მასალების სრულყოფისთვის დოქტორანტებს შეუძლიათ ჩაეწერონ მოკლევადიანი სტაჟირების პროგრამებზე, რომლებსაც აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების არაბისტიკის სასწავლო პროგრამები უზრუნველყოფენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების საელჩოების დახმარებით (ყოველი ასეთი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურ განხილვას საჭიროებს).

მიუთითეთ რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე.

დოქტორანტურაში ამ პროგრამით ჩაირიცხებიან ის არაბისტები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ უცხო ენაში დაწესებულ გამოცდას და რომელთა

ხელმძღვანელობას პროგრამა უზრუნველყოფს. ჩარიცხული დოქტორანტებისთვის პროგრამის ხელმძღვანელ-კოორდინატორი დააყენებს ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს წინაშე პროგრამაში ჩართული პროფესურის ხელმძღვანელობის დამტკიცების საკითხს.

პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია ყოველწლიურად 3 4 დოქტორანტის მიღება და მომზადება.

პროგრამაში ჩართული პროფესორები

პროგრამაში სალექციო კურსებით ჩართულნი არიან თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არაბისტიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი ნანა ფურცელაძე, ასოცირებული პროფესორები: მაია ანდრონიკაშვილი, დარეჯან გარდავაძე და გიორგი ლობჟანიძე. ცალკეული კონკრეტული ლექციის წასაკითხად იგეგმება თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებაზე ხელშეკრულებით მოწვეული ფილ. მეცნ. კანდიდატის: ნინო დოლიძის ჩართვა.